58B
1965/3

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 28 (297) ოქტომბერი 1965 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

578. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

579. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. მ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

580. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ს. ვაშაკიძის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

581. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აბაშის, მარნეულისა და კასპის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიების ჩატარებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ.

582. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების“ გამოცემის შესახებ.

583. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გურჯაანის რაიონის ჩალაუბნის სასოფლო საბჭოდან სოფელ მელაანის გამოყოფისა და მელაანის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

584. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა, სიღნაღის რაიონის დაბა წნორის რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ.

585. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჩხოროწყუს რაიონის მუხურის სასოფლო საბჭოდან სოფელ თაიის გამოყოფისა და თაიის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

586. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა მრეწველობის მართვის ორგანოების სისტემის შეცვლისა და სახელმწიფო მართვის ზოგიერთი სხვა ორგანოს გარდაქმნის შესახებ.

587. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ტექსტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

588. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების და საქართველოს სსრ მინისტრების დანიშვნის შესახებ.

589. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „„საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისთვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

590. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

591. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „„საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების შესახებ დებულებაში“ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

592. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა სოფლად მცხოვრები მოსწავლეების უფასოდ მგზავრობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

593. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. გ. მ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

594. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. გ. ს. ვაშაკიძის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

განყოფილება მეორე

595. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. გ. ქერქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

596. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ვ. ჭირაქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

578 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებაში", რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 28 ოქტომბრის გრძანებულებით:

მე-15 მუხლის „ა" პუნქტში სიტყვების „არჩევნებისათვის ქმნიან" შემდეგ დაემატოს სიტყვები „საარჩევნო ოლქებს".

მე-16 მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს სიტყვები: „სახალხო მოსამართლეების არჩევნები ხდება საარჩევნო ოლქების მიხედვით, რომლებიც იქმნება რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე სახალხო მოსამართლეთა რიცხვის მიხედვით, რომლებიც არჩეული უნდა იქნენ მოცემული რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში. თვითეული საარჩევნო ოლქიდან ირჩევენ ერთ სახალხო მოსამართლეს".

მე-17 მუხლის პირველ ნაწილში სიტყვების „ასარჩევ სახალხო მოსამართლეთა რაოდენობის აღნიშვნით" შემდეგ დაემატოს სიტყვები „თვითეული რაიონის, ქალაქის მიხედვით".

ამავე მუხლს დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, რომლებსაც რაიონული დაყოფა არ აქვთ) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ამ სიების შესაბამისად დაადგენენ სახალხო მოსამართლეთა არჩევნების საარჩევნო ოლქების საზღვრებს, მასში შემავალი საარჩევნო უბნების ნომრების ჩვენებით. საარჩევნო ოლქების სიები გამოქვეყნდება არა უგვიანეს 25 დღისა არჩევნებამდე".

მუხლები 20, 21 და 22 ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 20. საარჩევნო უბნები იქმნება ანგარიშით — ერთი საარჩევნო უბანი 500—3000 მცხოვრებზე.

მუხლი 21. სოფელში ან სოფლების ჯგუფში, სადაც ითვლება 500-ზე ნაკლები მცხოვრები, მაგრამ არა ნაკლებ 100-ისა, შეიძლება შეიქმნას ცალკე საარჩევნო უბნები.

მუხლი 22. შორეულ რაიონებში, სადაც წვრილი დასახლებული პუნქტები სჭარბობენ, აგრეთვე მთიან რაიონებში შეიძლება შეიქმნას საარჩევნო უბნები 100-ზე ნაკლები მცხოვრებით, მაგრამ არა ნაკლებ 50-ისა".

28-ე მუხლს დაემატოს სიტყვები „და მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში".

31-ე მუხლის „ბ" პუნქტში სიტყვების „სახალხო სასამართლოს" შემდეგ დაემატოს სიტყვები „შესაბამის საარჩევნო ოლქში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

33-ე მუხლში სიტყვების „განათლება, საქმიანობა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საარჩევნო ოლქის ნომერი“.

34-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „იმ რაიონში, ქალაქში, სადაც ირჩევა ორი და მეტი სახალხო მოსამართლე, მოსამართლედ ასარჩევი ყველა წამოყენებული და რეგისტრირებული კანდიდატი შეიტანება ერთ საარჩევნო ბიულეტენში“.

36-ე მუხლში სიტყვები „რაიონის, ქალაქის“ შეიცვალოს სიტყვებით „საარჩევნო ოლქის“.

43-ე მუხლში სიტყვები „იმ კანდიდატების გვარებს, რომლებსაც“ შეიცვალოს სიტყვებით „იმ კანდიდატის გვარს, რომელსაც“.

51-ე მუხლში სიტყვები „კანდიდატის რიცხვი მეტია, ვიდრე მოცემულ რაიონში, ქალაქში ასარჩევად გათვალისწინებული სახალხო მოსამართლეთა რაოდენობა“ შეიცვალოს სიტყვებით „ერთზე მეტი კანდიდატი“.

59-ე მუხლის „გ“ პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „რაიონში, ქალაქში“.

ამავე მუხლს ბოლოში დაემატოს წინადადება შემდეგი შინაარსის „მონაცემები, რომლებიც ჩამოთვლილია ამ მუხლის „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ პუნქტებში ნაჩვენები უნდა იქნეს ცალ-ცალკე თვითეული საარჩევნო ოლქის მიხედვით და აგრეთვე რაიონისა და ქალაქის მიხედვით მთლიანად“.

61-ე მუხლში სიტყვები „რაიონში, ქალაქში“ შეიცვალოს სიტყვებით „საარჩევნო ოლქში“.

65-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ სახალხო მოსამართლეების ვერც ერთმა კანდიდატმა მოცემულ საარჩევნო ოლქში ვერ მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავს ამას ოქმში სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგების შესახებ, დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს ან სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომს და აცხადებს ან ხელახალ კენჭისყრას სახალხო მოსამართლის იმ ორი კანდიდატისათვის, რომლებმაც მიიღეს ყველაზე მეტი ხმა, ანდა ნიშნავს ახალ არჩევნებს მოცემულ საარჩევნო ოლქში.

ხელახალი კენჭისყრის ან ახალი არჩევნების დღე დაინიშნება არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა პირველი არჩევნების შემდეგ“.

66-ე მუხლში სიტყვები „რაიონში, ქალაქში“ შეიცვალოს სიტყვებით „საარჩევნო ოლქში“, ხოლო სიტყვები „ამ რაიონში, ქალაქში“ სიტყვებით „ამ საარჩევნო ოლქში“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ცვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 8 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

579 ამხ. გ. მ. ჭართველიშვილის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. გაბრიელ მიხეილის ძე **ჭართველიშვილი** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 18 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

580 ამხ. გ. ს. ვაშაკიძის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. გრიგოლ სილიბისტროს ძე **ვაშაკიძე** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 18 ოქტომბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

581 აბაშის, მარნეულისა და კასპის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიების ჩატარებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ აბაშის, მარნეულისა და კასპის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა უკანასკნელ პერიოდში გააუმჯობესეს მუშაობა სესიების ჩატარებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

მთელ რიგ საბჭოებში საკითხების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობენ დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი. საბჭოების უმრავლესობას გამოაქვს საქმიანი კონკრეტული გადაწყვეტილებანი, ამასთან სერიოზული ყურადღება ეთმობა მათი შესრულების შემოწმებას, რის შედეგად გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილი დროულად სრულდება. აბაშის, მარნეულისა და კასპის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონული და ზოგიერთ სასოფლო საბჭოების სესიებზე განხილული საკითხების უმრავლესობა მუდმივი კომისიების მიერაა მომზადებული, გარდა ამისა სესიებზე საკითხის განხილვაში მონაწილეთა 80-90 პროცენტს დეპუტატები შეადგენენ.

სესიების ჩატარებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაცია კარგად არის დაყენებული აბაშის რაიონის სუჯუნის, მარნეულის რაიონის შულავერის, თამარისის, კასპის რაიონის სამთავისის და სხვა სასოფლო საბჭოებში.

ამასთან ერთად, აბაშის, მარნეულისა და კასპის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს სესიების ჩატარებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში გააჩნიათ რიგი ნაკლოვანებანი. ზოგჯერ ადგილი აქვს სესიებზე საკითხების ზერელე, დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების მონაწილეობის გარეშე მომზადებასა და განხილვას.

კასპის რაიონის ქვემო ჭალის, ოკამის, ლამისყანის, მარნეულის რაიონის ალგეთისა და სხვა სასოფლო საბჭოების აღმასკომები დეპუტატებს სესიის ჩატარებისა და დღის წესრიგის შესახებ მხოლოდ 2-3 დღით ადრე ატყობინებენ. სესიებზე იშვიათად იხილავენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის მნიშვნელოვან საკითხებს. ამასთან მიღებული გადაწყვეტილებანი მოკლებულია კონკრეტულობას.

აბაშის რაიონის ძველი აბაშის, ონტოფოს, მარნეულის რაიონის შაუმიანის სადაბო, კასპის რაიონის ლამისყანის, ქვემოჭალის, ოკამისა და სხვა სასოფლო საბჭოები იშვიათად ან სრულებით არ იხილავენ მიღებულ გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობას, ამის გამო მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი ნაწილი შეუსრულებელი რჩება.

ზემოდ აღნიშნული ნაკლოვანებანი ძირითადში გამოწვეულია იმით, რომ რაიონული და სასოფლო საბჭოს აღმასკომები ნაკლებად აბამენ დეპუტატებს, მუდმივ კომისიებსა და ფართო აქტივს სესიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა მოსახლეობამდე დაყვანისა და მის განხორციელების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს აბაშის, მარნეულის და კასპის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს (ამხ. ა. ნადარეიშვილი, მ. ყულიევი, ი. მუხიგულაშვილი):

ა) უზრუნველყონ სესიებზე სამსჯელო საკითხების მომზადება-განხილვაში დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და აქტივის ფართოდ ჩაბმა;

ბ) საბჭოების სესიებზე განსახილველი საკითხები და გადაწყვეტილებების პროექტები წინასწარ აცნობონ დეპუტატებს და მოსახლეობას, სესიებზე მსჯელობის საგნად გახადონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები;

გ) აღმასკომების მუშაობის პრაქტიკაში დანერგონ, რომ ყოველი სესიის წინ აღმასკომები დეპუტატებს ახსენებდნენ სესიიდან სესიამდე ჩატარებული მუშაობისა და წინა სესიებზე მიღებულ გადაწყვეტილებების შესრულების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობის შესახებ, ამასთან სისტემატური კონტროლი დააწესონ სესიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე და შემოწმების შედეგები განიხილონ საბჭოების სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე;

დ) დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი დეპუტატების მუშაობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის, მიაღწიონ იმას, რომ დეპუტატები მტკიცე კავშირში იმყოფებოდნენ ამომრჩევლებთან, ყოველი სესიის შემდეგ ხვდებოდნენ მათ, აცნობდნენ საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და რაზმავდნენ მოსახლეობას ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად;

ე) სისტემატური დახმარება გაუწიონ ქვემდგომი საბჭოების აღმასკომებს მუშაობაში, პერიოდულად ჩაატარონ საბჭოების მუშაკთა თათბირ-სემინარები საბჭოთა მშენებლობისა და პრაქტიკული მუშაობის ცალკეულ საკითხებზე. რეგულარულად შეამოწმონ, თუ როგორ სრულდება ქვემდგომი საბჭოებისა და აღმასკომების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო. რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეამოწმონ სესიების ჩატარებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობის საკითხი და მიღონ ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 20 ოქტომბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

582 „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების“ გამოცემის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 3 სექტემბრის № 3889-VI დადგენილებით აღდგენილია მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის მიერ მიღებული კანონების, დადგენილებების და სხვა აქტების გამოცემის 1960 წლის აპრილამდე არსებული პრაქტიკა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. 1965 წლის ოქტომბრიდან „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ გამოქვეყნდეს მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის მიერ მიღებული კანონები, დადგენილებები და სხვა აქტები.

2 „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“ გამოიცეს ქართულ და რუსულ ენებზე თვეში ერთჯერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის აქტების გამოქვეყნებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს.

4. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობას წარმოადგინოს ამ დადგენილებიდან გამომდინარე წინადადება გამოქვეყნების და თარგმნის ჯგუფის საშტატო ერთეულთა ცვლილებების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 20 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

583 ბურჯაანის რაიონის ჩალაუბნის სასოფლო საბჭოდან სოფელ მელაანის გამოყოფისა და მელაანის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გამოეყოს ბურჯაანის რაიონის ჩალაუბნის სასოფლო საბჭოს სოფელი მელაანი და შეიქმნას მელაანის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მელაანში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 20 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

584 სიღნაღის რაიონის დაბა წნორის რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას სიღნაღის რაიონის დაბა წნორი რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო წნორის სადაბო საბჭო წნორის საქალაქო საბჭოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 20 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

585 ჩხოროწყუს რაიონის მუხურის სასოფლო საბჭოდან სოფელ თაიის გამოყოფისა და თაიის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გამოეყოს ჩხოროწყუს რაიონის მუხურის სასოფლო საბჭოს სოფელი თაია და შეიქმნას თაიის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ თაიაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 20 ოქტომბერი.

საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

586 მრეწველობის მართვის ორგანოების სისტემის შეცვლისა და სახელმწიფო მართვის ზოგიერთი სხვა ორგანოს გარდაქმნის შესახებ

მრეწველობის მართვის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. შეიქმნას საქართველოს სსრ შემდეგი საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები:

კვების მრეწველობის,

ხორცისა და რძის მრეწველობის,

ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის,

მსუბუქი მრეწველობის და

საშენ მასალათა მრეწველობისა.

მუხლი 2. შეიქმნას საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის რესპუბლიკური სამინისტრო.

მუხლი 3. გარდაიქმნას საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო საგეგმო კომისია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტად (საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი).

მრეწველობის მართვის დარგობრივი პრინციპის პირობებში სამრეწველო წარმოების განვითარების ტერიტორიული დაგეგმვის უზრუნველსაყოფად დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი შეიმუშავებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების პროექტებს საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა დარგის მიხედვით, აგრეთვე წინადადებებს საერთო-საკავშირო-სამინისტროების იმ საწარმოების პროდუქციის (გარდა თავდაცვითისა) წარმოების გეგმების პროექტების ირგვლივ, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობენ.

მუხლი 4. გარდაიქმნას საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად (საქართველოს სსრ სახმშენი).

მუხლი 5. გარდაიქმნას საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.

მუხლი 6. გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.

მუხლი 7. მრეწველობის მართვის ორგანიზაციაში ამ კანონით გათვალისწინებული ცვლილებების გამო გაუქმდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო.

მუხლი 8. გაუქმდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტი.

მუხლი 9. გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტი.

მუხლი 10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განახორციელოს საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებანი ამ კანონის საფუძველზე.

მუხლი 11. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცოს საქართველოს სსრ იმ საკანონმდებლო აქტების სია, რომლებიც კარგავენ ძალას ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 19 ოქტომბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

587 საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ტექსტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ 1965 წლის 19 ოქტომბერს მიღებულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი „მრეწველობის მართვის ორგანოების სისტემის შეცვლისა და სახელმწიფო მართვის ზოგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი სხვა ორგანოს გარდაქმნის შესახებ", საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ტექსტში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 50. საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო ქმნის საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ მინისტრები;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გაყიდვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების რემონტის ორგანიზაციისა და გამოყენების საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანების — „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები თანამდებობის მიხედვით".

2. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 55-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 55. საქართველოს სსრ-ის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებია:

ვაჭრობის,
თავდაცვის,
კავშირგაბმულობის,
კვების მრეწველობის,
კულტურის,
მელიორაციის და წყალთა მეურნეობის,
მსუბუქი მრეწველობის,
საგარეო საქმეთა,
საშენ მასალათა მრეწველობის,
სოფლის მეურნეობის,
უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების,
ფინანსთა,
ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის,
ხორცისა და რძის მრეწველობის და
ჯანმრთელობის დაცვისა."

3. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 56-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 56. საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკური სამინისტროებია:

ადგილობრივი მრეწველობის,
განათლების,
კომუნალური მეურნეობის,
მშენებლობის,
საავტომობილო ტრანსპორტის,
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და
სოციალური უზრუნველყოფისა".

4. საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-14, 48-ე და 49-ე მუხლებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

მე-14 მუხლიდან ამოღებულ იქნეს „ი" პუნქტი;

48-ე მუხლის „ა" პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ახორციელებს ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოების ხელმძღვანელობას" და „ე" პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოებს";

ეროვნული ბიბლიოთეკა

49-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი“.

5. საქართველოს სსრ კონსტიტუციის ტექსტიდან ამოღებულ იქნეს მუხლი 58ა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 19 ოქტომბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

588 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების და საქართველოს სსრ მინისტრების დანიშვნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს დაინიშნოს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ — ამხ. ნიკოლოზ გიორგის ძე გომელაური, ამასთან გათავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ მინისტრის მოვალეობისაგან;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ — ამხ. ერმალო მინას ძე ჯაფარიძე;

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად — ამხ. დავით ზაქარიას ძე რომელაშვილი;

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად — ამხ. ადოლფ ვარლამის ძე ხუროძე;

საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრად—ამხ. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ვარაზაშვილი;

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრად — ამხ. ვახტანგ ნესტორის ძე სორდია;

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრად — ამხ. იოსებ სიმონის ძე ჩიაევი;

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად — ამხ. ალექსანდრე ერასტის ძე მელაძე;

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრად — ამხ. გიორგი ნიკოლოზის ძე ჯიბლაძე;

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრად — ამხ. გიორგი სამსონის ძე ქობულია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 19 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

589 იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „„საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 ივნისის ბრძანებულება „„საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 19 ოქტომბერი.

კ ა ნ ო ნ ი
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

590 „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 21 ივლისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 19 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

591 „„საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების შესახებ დებულებაში“ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 აგვისტოს გრძანებულება „„საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების შესახებ დებულებაში“ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 19 ოქტომბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

592 „სოფლად მცხოვრები მოსწავლეების უფასოდ მგზავრობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 აგვისტოს დადგენილება „სოფლად მცხოვრები მოსწავლეების უფასოდ მგზავრობის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 19 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

593 ამხ. გ. მ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 ოქტომბრის გრძანებულება ამხ. გ. მ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 19 ოქტომბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

594 ამხ. გ. ს. ვაშაკიძის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 ოქტომბრის გრძანებულება ამხ. გ. ს. ვაშაკიძის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი 1965 წლის 19 ოქტომბერი.

განკოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

595 ამხ. ვ. გ. ქერქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. ვლადიმერ გიორგის ძე ქერქაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 20 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

596 ამხ. გ. ვ. ჭირაქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. გრიგოლ ვარლამის ძე **ჭირაქაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 20 ოქტომბერი.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 20 ოქტომბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დააჯილდოვა 335 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	40
ქ. ჭიათურიდან	20
ქ. რუსთავიდან	8
ქ. ტყიბულიდან	4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალციხის	რაიონიდან	12
ახმეტის	„	32
ბოგდანოვკის	„	18
დმანისის	„	46
ზესტაფონის	„	20
ზუგდიდის	„	25
თელავის	„	5
თიანეთის	„	2
კასპის	„	22
სამტრედიის	„	10
ყაზბეგის	„	2
ყვარლის	„	8
ჩოხატაურის	„	4
ცხაკაიას	„	14
წალკის	„	11
წულუკიძის	„	4
ხაშურის	„	18
ხობის	„	10

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების“ ხელისმომწერთა საყურადღებოდ

ამა წლის 1 ოქტომბრიდან განახლდა „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ გამოცემა ქართულ ენაზე. ამიტომ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ სსრ კავშირის აქტები აღარ გამოქვეყნდება, ხოლო ხელის მომწერნი წლის ბოლომდე „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებთან“ ერთად მიიღებენ „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებსაც“. მომავალი 1966 წლისათვის საჭირო იქნება გამოიწეროთ „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“. ერთი წლით ხელმოწერის ფასია 4 მან. 80 კაპ. ინდექსი — 70168).

ამასთან ერთად მოგაგონებთ, რომ უკვე დაიწყო ხელმოწერა „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებზე“ 1966 წლისათვის. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ წინანდებურად გამოქვეყნდება საქართველოს სსრ კანონები და დადგენილებანი, მიღებულნი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი, აგრეთვე საინფორმაციო ხასიათის მასალა.

დროულად გამოიწერეთ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“ მთელი წლით. ხელმოწერის ფასია 1 მან. 20 კაპ. (ინდექსი — 76035).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობა.